წერილის ნომერი: **18-01190584179**
თარიღი: **27/02/2019**
პინი: **3406**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული როგორც, „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის #60-01190563538 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი, გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე რომან აბრამიშვილის განაცხადის (AR1641039) საფუძველზე, ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის N8 მიმდებარედ, ნაკვეთი 26/088; შპს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს.კ.: 01.17.11.026.112) (სსზ-1) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, დასარგავად შემოთავაზებული 11 ძირი ხე და 4 ძირი ბუჩქი (2 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, 3 ძირი კავკასიის ანუ ნორდმანის სოჭის, 3 ძირი ირმის რქა, 3 ძირი ჩვ.იფანი/კოპიტი, 4 ძირი ფოტინია „რედ რობინის“ ნერგი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (180 კვ. მეტრი). მწვანე ნარგავები შერჩეულია ქალაქ თბილისის კლიმატის შესაბამისად. **ამდენად, სამსახური თანახმაა დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 2 19 00714663

20/03/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **ეკა კვირკველიას**

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2019 წლის 14 მარტის N60-01190731882 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის გამზირი N8-ში მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.026.112) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის გამზირი N8-ში მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.026.112) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის **2019 წერილის 19 თებერვლის N MIA 31900427762** და **2019 წერილის 28 თებერვლის N MIA 519005 27394** წერილების საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხი, რომელთა პროექტები **გონივრულ ვადაში** წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობის პროექტი;

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემების მოწყობის პროექტი.

პატივისცემით,



სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ზურაბ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01190734184**
თარიღი: **14/03/2019**

ადრესატი:

ეკა კვირკველია
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

ქალბატონო ეკა,

თქვენი მ/წლის 14 მარტის N 60-01190731885 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №17-01190732877-16; 14.03.2019წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 31 ოქტომბრის №AR1641039 განცხადებაზე წარდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01190813696**
თარიღი: **22/03/2019**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

2019 წლის 14 მარტის თქვენი N 17-01190732877-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელინცკის N8 მიმდებარედ, (ნაკვ. 26/088) (ს/კ 01.17.11.026.112) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში (AR1641039) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის, საპროექტო ტერიტორიის **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** მომსახურების დონე არის დამაკმაყოფილებელი**.** ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები კი არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობაზე. აღსანიშნავია, რომ ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია **საქვეითე ინფრასტრუქტურა.** საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტროტუარი არ არის. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ასფალტის გზის საფარის, ტროტუარების და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა.

პროექტი არ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე **საგზაო ინფრასტრუქტურაზე.** გარდა ამისა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშვნელოვნად გაზრდას.

ვინაიდან ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1641039) შეთანხმების წინააღმდეგი არ არის.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)